როგორ მოვემზადოთ ავტორიზაციისთვის ხარისხის უზრუნველყოფის განახლებული სტანდარტებისა და სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) მოთხოვნების გათვალისწინებით



EDUCATION OF HEALTH PROFESSIONALS FOR THE 21ST CENTURY:
A GLOBAL INDEPENDENT COMMISSION

უმაღლესი სამედიცინო საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოწვევები

- საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ხარისხის როგორც შიდა, ისე გარე უზრუნველყოფის აუცილებლობა განსაზღვრულია საკანონმდებლო დონეზე;
- ქვეყანაში შემუშავდა და დამტკიცდა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, რაც მოითხოვს უნივერსიტეტების შეფასებაში საერთაშორისო ექსპერტების, სტუდენტებისა და დამსაქმებლის ჩართვას და მიზნად ისახავს ხარისხის ამაღლებას;
- სხვა პროფილის უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლებისგან განსხვავებით, საერთაშორისო სამედიცინო განათლებისა და კვლევის განვითარების ფონდის (FAIMER), მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის(WHO) და სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის(WFME) დადგენილებით, *„2023 წლის შემდეგ აღიარებული იქნება მხოლოდ იმ სამედიცინო სასწავლებლების კურსდამთავრებულთა აპლიკაციები, რომლებსაც გავლილი ექნებათ საერთაშორისო აკრედიტაცია“.*

.

საჭიროება და აუცილებლობა:

Health 2020 – ევროპის ჯანდაცვის პოლიტიკის პროექტია, რომელიც ჯანდაცვის პროფესიონალთა განახლებული სტანდარტებით მზადებას ითხოვს. ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია განახლებული და ხარისხიანი საგანმანათლებლო პროგრამები.

აკრედიტაციის სტანდარტებად გამოყენებული იქნება სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) მიერ განსაზღვრული გლობალური სტანდარტები (*WFME Global Standards For Quality Improvement, The 2015 Revision*).

საქართველოში მიმდინარე ჯანდაცვის სისტემის რეფორმის პროცესში კრიტიკული მნიშვნელობა აქვს ჯანდაცვის პროფესიონალების განვითარების სწორი პოლიტიკისა და სტრატეგიის ფორმირებას

ჯანმრთელობა როგორც ეკონომიკისა და განვითარების წარმმართველი



Ilona Kickbusch, 2007

ჯანდაცვის სფეროში ადამიანური რესურსების მართვის მეთოდოლოგია



World Health Organization

გლობალიზაცია - სწავლების, შეფასების და ხარისხის უზრუნველყოფის მაღალი ერთიანი სტანდარტები

WORLD HEALTH SUMMIT

<u>პრობლემები და გამოწვევები:</u>

- საერთო ძირითადი კომპეტენციების განსაზღვრა. გასაგები და იოლად შეფარდებადი კვალიფიკაციების სისტემის ჩამოყალიბება პროფესიული განვითარების ყველა დონეზე.
- სტუდენტებისა და სპეციალიტების მზარდი მობილურობა, "ტვინის გადინება"
- აკადემიური პერსონალის განვითარება. პროფესორ-მასწავლებელთა და განათლების ადმინისტრაციულ მენეჯერთა საერთო ძირითადი კომპეტენციების განსაზღვრის აუცილებლობა
- ადაპტაცია ახალ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიასთან - ახალი უნარების შეძენა, სწრაფი და შემოქმედებითი ადაპტაცია ახალ მოთხოვნებთან
- პროფესიული კომუნიკაციის უნარების ჩამოყალიბება მულტიკულტურულ საზოგადოებაში: უცხოური ენების ცოდნა, ადაპტაცია პროფესიული ეთიკის ახალი მოთხოვნებთან პაციენტების კულტურული მრავალფეროვნების ფონზე.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
ერთ-ერთი პირველი პოსტსაბჭოურ ქვეყნებს შორის, მონაწილეობდა ევროკომისიის ხარისხის კულტერის პროექტში – თვითშეფასებისა და საერთაშორისო ექსპერტიზის პროცესებში



2006 წლის 16–21 ივნისს სამედიცინო განათლების თანამედროვე ასპექტებზე და პროგრამების მოდერნიზაციის საკითხებზე ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისათვის სემინარის ჩასატარებლად თსსუ–მ მოიწვია WFME –ის ექსპერტი, პროფესორი ჯენეტ გრანტი

2010–2012 წლებში სამედიცინო უნივერსიტეტი მონაწილეობდა ბოლონიის პროცესთან სამედიცინო განათლების ჰარმონიზაციის MEDINE თემატურ სამუშაო ჯგუფებში, სადაც მიმდინარეობდა სამედიცინო განათლების სტანდარტების შემუშავება და ნორმატიული დოკუმენტების შექმნა.

გლობალური გამოწვევების ლოკალური გადაწყვეტილებები

- სასწავლო გარემოს და საუნივერსიტეტო კლინიკების განვითარება;
- უცხოურ-ენოვანი და საერთაშორისო პროგრამების განვითარება; უცხოელ სტუდენტთა მოზიდვა
- საერთაშორისო თანამშრომლობა; თანამშრომლობის განვითარება გლობალურ თემატურ, მარეგულირებელ და საკანონმდებლო ორგანიზაციებთან
- აკადემიური პერსონალის განვითარება და კვალიფიციური კადრის შენარჩუნება
- სწავლებისა და შეფასების ახალი მეთოდების მუდმივი განვითარება
- მეცნიერებისა და კვლევის უნარების განვითარება
- უცხოელ პროფესორთა მოწვევა და გამოცდილების გაზიარება
- კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობა
- სტუდენტთა მობილურობის ხელშეწყობა და გაცვლითი პროგრამები
- ხარისხის კულტურის ახალი სისტემის ჩამოყალიბება

2017 წლის 21 ივნისს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსა და სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შორის გაფორმდა ურთიერთთანმშრომლობის მემორანდუმი

მიზანი

განახლებული ავტორიზაციის მექანიზმის ეფექტურად დანერგვისა და განხორციელებისათვის, საერთაშორისო ექსპერტების უშუალო ჩართულობით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის განმავითარებელი შეფასების განხორციელება.

შეფასების პროცესი მოიცავდა ფედერაციის ექსპერტის მიერ ცენტრის მიერ ხარისხის შეფასების/ავტორიზაციის პროცედურის ჩატარებაზე დაკვირვებას.

მემორანდუმს თან ახლდა დანართი, რომელშიც მითითებული იყო წარმოსადგენი დოკუმენტაციის /ინფორმაციის ჩამონათვალი – 37 დოკუმენტი

განმავითარებელი შეფასების პროცესისთვის თსსუ–მ წარმოადგინა:

- თვითშეფასების შევსებული ფორმა და მასზე დასართავი დოკუმენტაცია ავტორიზაციის განახლებული სტანდარტებისა და პროცედურების მიხედვით, ქართულ და ინგლისურ ენაზე;
- თსსუ–ის ახალი, 2018–2025 წწ. სტრატეგიული გეგმა WFME – ის სტანდარტების მიხედვით, ქართულ და ინგლისურ ენაზე;
- ექსპერტთა ვიზიტის ცენტრთან შეთანხმებულოი დღის წესრიგი იმ პირთა (პერსონალის/სტუდენტების) ჩამონათვალით და პოზიციების მითითებით , ვინც შეხვედრებში მიიღებდენ მონაწილეობას და მიაწვდიდნენ ინფორმაციას ექსპერტთა ჯგუფის წევრებს სტანდარტით გათვალისიწინებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით (ინგლისურ ენაძე).
- 24–26 ივლისს შედგა ექსპერტთა ჯგუფთან **21 შეხვედრა;** თითოეულ შეხვედრაზე მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 6-10 წარმომადგენელმა.

როგორ მოვემზადეთ:

- თსსუ–ის ადმინისტრაციის და უშუალოდ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, პროფ. ირინე კვაჭაძის ხელმძღვანელობით, ჩამოყალიბდა განმავითარებელი შეფასების "თვითშეფასების ჯგუფი" და მომზადდა თვითშეფასების კითხვარი ;
- თსსუ–ის სტრატეგიული განვითარებისა და სამედიცინო კვლევის ცენტრის ხელმძღვანელის, პროფ. გაიანე სიმონიას მიერ მომზადდა ახალი, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;

პარალელურად მიმდინარეობდა დანართით წარმოსადგენი დოკუმენტაციის /ინფორმაციის (37 დოკუმენტის), თვითშეფასების შევსებული კითხვარის და ახალი სტრატეგიული გეგმის თარგმნა

შენიშვნები და რეკომენდაციები

ადმინისტრაციული ერთეულების როლის გამიჯნვა და ამ თვალსაზრისით პერსონალის მოვალეობათა და სამუშაოთა აღწერილობის გადახედვა

გათვალისწინებულია – მომზადდა და დამტკიცდა

- ,,სსიპ _ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში აკადემიური და კვლევითი საქმიანობის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის დატვირთვა“, 2017 წელი 3 ოქტომბერი, თსსუ–ის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №23/12
- ,, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების-სასწავლო დეპარტამენტების ლაბორანტის და სასწავლო ნაწილის ხელმძღვანელის თანამდებობრივი ინსტრუქცია”, 2017 წლის 30 ოქტომბერი, თსსუ–ის რექტორის ბრძანება
- თსსუ-ის ვლ. ბახუტაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობრივი ინსტრუქცია. 2017 წლის 08 სექტემბერი;
- თსსუ-ის ვლ. ბახუტაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის უფროსი ლაბორანტის თანამდებობრივი ინსტრუქცია. 2017 წლის 08 სექტემბერი;

შენიშვნები და რეკომენდაციები

ადმინისტრაციული ერთეულების როლის გამიჯნვა და ამ თვალსაზრისით პერსონალის მოვალეობათა და სამუშაოთა აღწერილობის გადახედვა

გათვალისწინებულია – მომზადდა და დამტკიცდა

- ,,თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესი“, 2017 წელი 8 ნოემბერი , თსსუ–ის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №23/14
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დამატებით შემუშავებულ იქნა კითხვარი: საუნივერსიტეტო სერვისებით კმაყოფილების ხარისიხის შესაფასებლად, დამსაქმებლებთან, ასევე ბიბლიოთეკის საქმიანობის შეფასებისთვის.
- დაზუსტდა და განახლდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობები და თანამდებობრივი ინსტრუქციები.

შენიშვნები და რეკომენდაციები

უნივერსიტეტის მართვის ეფექტურობის გაძლიერება, პერსონალის გადამზადება

გათვალისწინებულია
განხორციელდა 7 დღიანი ტრენინგი "მართვის თანამედროვე მეთოდები"

- თვითშეფასება და გრძელვადიანი განვითარება
- მენეჯერის ფუნქციები: გრძელვადიანი განვითარება და თანამშრომლების აღზრდა
- მენეჯერული პოზიციების ტიპები
- მმართველობითი საქმიანობა
- დელეგირება და კონტროლი
- პროდუქტიულობა და დროის მართვა
- მომსახურების / სერვისის ძირითადი კომპონენტები
- PR - საზოგადოებასთან ურთიერთობა / სტრატეგიული კომუნიკაციის საწყისები
- მოტივაცია: ძირითადი მოტივატორები და მოტივაციის გეგმა
- ოპტიმალური მდგომარეობის მოდელი

სტაჟირება, საწარმოო პრაქტიკა, კლინიკური სწავლება

საუნივერსიტეტო კლინიკები

სამედიცინო განათლების საფეხურები
და დასაქმების გამოთვლის თავისებურება



განვითარებისთვის დასახული მიზანი მიღწევადია, თუ:
ცვლილების მართვის დროს გამოვიყენებთ ყველაზე ეფექტურ ფაქტორებს

ფაქტორი	%
საფუძვლიანი კონსულტაცია	69
საუბარი და ახსნა განმარტება ცვლილებების ირგვლივ	56
გუნდური მუშაობა	55
ცვლილების აუცილებლობაზე შეთანხმების უზრუნველყოფა	51
საკუთრების განცდა ცვლილებაზე	49
სადემონსტრაციო მასალის გამოყენება	47